

SCHOMBURG GmbH & Co. KG
Aquafinstraße 2–8
D-32760 Detmold (Germany)
phone + 49-5231-953-00
fax + 49-5231-953-108
email export@schomburg.de
www.schomburg.com



ტექნიკური სპეციფიკაცია

CRYSTALLFUGE-PLUS

Art.-No. 2 04202

ცემენტის მრავალფუნქციური მინერალური დრეკადი ხსნარი



- სწრაფი შიდაკრისტალური შეკავშირება
- იცავს ბაქტერიების ზემოქმედებისა და ობის სოკოს ზრდისგან
- იცავს მგრძნობიარე მასალებს ფერის შეცვლისგან (გახუნებისგან) ქვის შემადგენლების ზემოქმედებით
- აკმაყოფილებს CG2WA DIN EN 13888 მოთხოვნებს
- სწრაფი დადება
- იოლი მოკიდების და მოცილების თვისებები
- რბილი კონსისტენცია
- ორთქლშეღწევადი
- პიგმენტირებული
- პოლიმერმოდირებული
- შრება ბზარების გაჩენის გარეშე
- იატაკისა და კედლის გამათბობელი სისტემებისთვის
- ფერები შეესაბამება ESCOSIL-2000-ST სილიკონის სისტემას.

გამოყენების სფეროები:

CRYSTALLFUGE-PLUS განსაკუთრებით შესაფერისია მგრძნობიარე ბუნებრივი ქვისათვის, როგორცაა, მაგალითად, კირქვა, მარმარილო (Jura marble), Sohlhofener stone, მგრძნობიარე მსუბუქკრისტალური მარმარილო, გრანიტი და ა.შ. გამოყენების, გადამბის ადგილებზე პირველადი დადების, წყლის რეტენციის და ჩამორეცხვის მაჩვენებლები ამ მასალებს შეესაბამება. ნარევის სწრაფი შიდაკრისტალური შეკავშირება საიმედოდ იცავს კიდეებს ფერის შეცვლისგან.

CRYSTALLFUGE-PLUS შეიძლება გამოყენებული იქნას 10 მმ-მდე გადამბის ადგილებისთვის შიდა და გარე ზონებში, კედლებსა და იატაკებზე, მშრალ, პერიოდულად სველ და სველ ზონებში. ასევე, შესაძლებელია კერამიკული ფილების დამაგრება, როგორცაა თიხის ნაკეთობები, მოჭიქული ნაკეთობები, სრულად მოჭიქული ფილები, შუშის მოზაიკები და, განსაკუთრებით, ისეთი საფარები, რომლებიც ხასიათდება წყლის დაბალაბსორბციულობით და ვიწრო ნაკერებით, როგორცაა, მაგალითად, სრულად მოჭიქული და შუშის ფილები.

ოქროსფერი ან ვერცხლისფერი საღებავის დამატების და ფერთა დიდი არჩევნის წყალობით შესაძლებელია დეკორატიული დიზაინის უამრავი სახის მიღწევა.

CRYSTALLFUGE-PLUS გამოიყენება ინტერიერებში AgBB შეფასების სქემის (სამშენებლო პროდუქტების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეფასების კომიტეტი), საფრანგეთის VOC საკანონმდებლო აქტების და ბელგიის სამეფოს # C-2014/24239 ბრძანების შესაბამისად. ძალიან მცირე ემისიები GEV-EMICODE შესაბამისად, რაც, როგორც წესი, იწვევს დადებით შეფასებებს სამშენებლო სერტიფიცირების სისტემების ფარგლებში DGNB, LEED, BREEAM, HQE შესაბამისად. უმაღლესი ხარისხის დონე 4, რიგი 7, 8 – DGNB კრიტერიუმის - „ENV 1.2 გარემოზე ზემოქმედების ადგილობრივი შეფასება“ - შესაბამისად.

ტექნიკური მონაცემები:

საფუძველი: სპეციალური ცემენტი, მინერალური შემავსებლები და მაღალხარისხიანი დანამატები

ფერები: თეთრი, ვერცხლისფერი რუხი, რუხი, ჟასმინი, პერგამონი, ჩალისფერი, კარამელი, კრემისფერი (Jura Beige), ყავისფერი, კაკლისფერი, საშუალო რუხი, ტიტანიუმის რუხი, გრაფიტი, ბაჰამის ჩალისფერი, ქვიშისფერი რუხი

ნაკერების სიგანეები: 1-დან 10 მმ-მდე

ვარგისიანობის ვადა

გამოყენებისას: დაახლოებით 30-45 წთ

გამოყენების ტემპერატურა: +5°C-დან +25°C-მდე

ფეხით სიარული: დაახლოებით 2 საათის შემდეგ

სრული სერვისის პირობები: 1 დღე

წყლის საჭიროება: დაახლოებით 1.2-1.5 ლ/5 კგ

მოხმარება: იხ. მოხმარების ცხრილი

დასუფთავება: უშუალოდ გამოყენების შემდეგ გარეცხეთ წყლით

სველი ნარევის სიმკვრივე: დაახლოებით 1.9 კგ/დმ³.

შეფუთვა: 5 კგ ცელოფნის ტომრები

შენახვის წესი: მინ. 18 თვე მშრალ ადგილზე, გაუხსნელი შეფუთვით. გახსნილი შეფუთვები დროულად გამოიყენეთ.

*მონაცემები ეფუძნება +23°C ტემპერატურის და 50% ფარდობითი ტენიანობის პირობებს.

მასალის მოხმარება:

ფორმატი (სმ)	ნაკერის სიგანე (მმ)	ნაკერის სიღრმე (მმ)	მოხმარება (კგ/მ²)
2 x 2	1.5	2.0	0.6
2 x 2	1.5	10.0	2.9
10 x 10	3.0	6.0	0.7
20 x 30	3.0	8.0	0.4
30 x 30	3.0	10.0	0.4
30 x 40	3.0	10.0	0.5
30 x 60	3.0	10.0	0.3
30 x 60	3.0	20.0	0.6
30 x 90	3.0	20.0	0.6

სუბსტრატის მომზადება და პროდუქტის გამოყენება:

კარგად გაფხიკეთ ფილების ნაკერები წებოს გაშრობის შემდეგ, შემდეგ კი ფილების ზედაპირი წყლით გარეცხეთ. წებო სრულად უნდა დაჟდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაკერებზე ფერის შეცვლაა მოსალოდნელი. თანაბრად დაასველეთ წინასწარ ფორმოვანი ფილები. ნაკერების კიდეები უნდა იყოს სუფთა და არ უნდა შეიცავდეს გამაცალკეველ ნივთიერებებს. დრო, რომელზეც დაცემენტება შეიძლება დაიწყოს, თუ ფილები დაგებული იქნა თხელფენიან წებოზე, შეადგენს დაახლოებით 3-დან 72 საათამდე ინსტალაციის შემდეგ. ქვიშა-ცემენტის დამაგრების მეთოდებით, ცემენტის ხსნარის ფენა საკმარისად მყარი და თანაბრად მშრალი უნდა იყოს. არ დააცემენტოთ ცვალებადი ტემპერატურის ზედაპირები (მაგალითად მზის სხივებიდან).

ცემენტის ხსნარის კონსისტენცია შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი ფილების და სუბსტრატის აბსორბციის თვისებებთან.

1. შეურიეთ CRYSTALLFUGE-PLUS სუფთა წყალი სუფთა შესარევ სათლში. ჩაასხით 1.2 – 1.5 ლ წყალი სათლში და დაამატეთ 5 კგ CRYSTALLFUGE-PLUS; მოურიეთ რბილი და ერთგვაროვანი მასალის მიღებამდე. ასეთ პირობებში, მასალის ვარგისიანობის და მოკიდების დრო, როგორც წესი, იზრდება, რაც, დამატებული წყლის ოდენობის მიხედვით მცირდება ან იზრდება.

გირჩევთ, მოურიოთ შესაფერისი მექანიკური მიქსერით (სიჩქარე დაახლოებით 300 – 500 ბრუნ/წთ)

შემდეგ, ხსნარში შეიძლება ერთიდან სამ პაკეტამდე ვერცხლის ან ოქროს ბრჭყვიალას დამატება (5 კგ ტომარაზე) სასურველი ეფექტის გათვალისწინებით.

დაელოდეთ 2 წუთი, შემდეგ ხელახლა მოურიეთ. ფერის ცვალებადობის პრევენციისათვის დაიცავით შერევის მუდმივი თანაფარდობა. არ შეურიოთ იმაზე მეტი ოდენობის ხსნარი, რომელსაც 30 წუთში გამოიყენებთ*).

2. წაუსვით CRYSTALLFUGE-PLUS კედლის ან იატაკის ნაკერებს ქაფჩის მეშვეობით, მსუბუქი ზეწოლით. გაანაწილეთ სუფთად და ხსნარის ზოლების დიაგონალურად, ისე, რომ ნაკერი სრულად დაიფაროს. საჭიროებისამებრ, ხანმოკლე პერიოდის შემდეგ, შეავსეთ ნაკერის ზედაპირი.
3. როდესაც ხსნარი გამაგრებას დაიწყებს (შეამოწმეთ თითქმის), გაწმინდეთ ნაკერის პროფილი სველი ღრუბლით. რამდენიმე წუთის შემდეგ ფილის ზედაპირი ღრუბლით გაწმინდეთ.
4. მოძრავი ნაკერებისთვის გამოიყენეთ ელასტიური იზოლაცია ESCOSIL-2000-ST. ჩამოფხიკეთ წებოს/ცემენტის ხსნარის ნარჩენები პირველადი მოკიდების შემდეგ და გაწმინდეთ ოდნავ დასველებული ღრუბლით. ცემენტის ხსნარის დარჩენილი აპკები შეიძლება ჩამოირეცხოს რამდენიმე საათის შემდეგ ღრუბლით და სუფთა წყლით. გაწმინდისას ნუ გამოიყენებთ მშრალ ქსოვილს, ვინაიდან არსებობს ფერის შეცვლის რისკი ცემენტის მშრალი ნარევის ნაკერებში გადასვლის გამო, რომლებიც კვლავ სველია. დაიცავით ის აზონები, რომლებსაც ცემენტის ხსნარი დაასხით, მაღალი ტემპერატურის, ქარის, წვიმის ან ყინვის ზემოქმედებისგან სრულ გაშრობამდე. არასასურველ კლიმატურ პირობებში (დაბალი ტენიანობა, გამჭოლი ქარი, ქარი) და მაღალაბსორბციული ფილების შემთხვევაში ცემენტის ხსნარის გაშრობის პროცესი შეიძლება ოპტიმიზებული იქნას, თუ ნაკერებს შემდეგ სუფთა წყლით დაამუშავებთ (სველი ღრუბლით). ხშირად შეცვალეთ ჩამონარეცხი წყალი სუფთა წყლით. თუ ცემენტის ხსნარს იყენებთ პროფილირებულ, დაუმუშავებელ, არამოჭიქულ ან ფოროვან ზედაპირზე, ასევე, ტექსტურირანი ზედაპირის ბუნებრივ ქვაზე, გაპრიალებულ მარმარილოზე სხვადასხვა ზომის ფოროვანი ზედაპირით, რეკომენდებულია ტესტის ჩატარება (დაცემენტებამდე მსუბუქად დაასველეთ ზედაპირი ან გაჟღინთეთ შესაფერისი მასალით). დრო, როდესაც საჭიროა ცემენტის ხსნარის ჩამორეცხვა, დამოკიდებულია ფილის ტიპზე და არსებულ კლიმატურ პირობებზე. საკმარისი დროის შემდეგ ზედაპირი გახეხეთ ნაკერების ჩამორეცხვის გარეშე.

მნიშვნელოვანი რჩევა:

- ცემენტის ხსნარი, რომელმაც გამაგრება დაიწყო, არ უნდა განაახლოთ წყლის ან ახალი ხსნარის დამატებით, ვინაიდან არსებობს ფერის შეცვლის მაღალი რისკი.
- გირჩევთ რეგულარულად მოუაროთ და გაწმინდოთ დაცემენტებული ზედაპირი ნეიტრალური ან სუსტი ტუტე საწმენდი საშუალებებით მითითებული კონცენტრაციის დაცვით.
- მჟავას შემცველი საწმენდი საშუალებების გამოყენებისას დაიცავით სათანადო მითითებები. იხილეთ გამოყენებული ბუნებრივი ქვის სპეციფიური თვისებები. წინასწარ დაასველეთ ნაკერები, შემდეგ წაუსვით საწმენდი საშუალება - დაბალი კონცენტრაციით. საწმენდი საშუალების მოქმედების დრო მინიმუმამდე შეამცირეთ და, შემდეგ, დიდი ოდენობით წყლით ჩამორეცხეთ. არასწორად გამოყენების შემთხვევაში, მაგალითად, დოზა ძალიან მაღალია, ხანგრძლივი კონტაქტი ცემენტის ხსნართან, ან თუ წინასწარი დასველების პირობას დაარღვევთ, მჟავის შემცველმა საწმენდმა საშუალებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ცემენტის ხსნარის მატრიცაზე, ან სრულად დაშალოს ის.
- დაცემენტებამდე წინასწარ დაასველეთ მაღალაბსორბციული ქვა ან დაამუშავეთ შესაფერისი საიზოლაციო მასალა.
- ტემპერატურის ზრდა 10°C-ით ექსპლოატაციის ვადას დაახლოებით 50%-ით ამცირებს.
- გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა წყალი და იარაღები.
- გარე ზონებში იატაკების დასაცემენტებლად გირჩევთ ASO-Frelxfige-ის გამოყენებას, თუ ბუნებრივი ქვის მასალის სპეციფიური თვისებები ამის შესაძლებლობას იძლევა და გაუფერულება, მაგალითად, ქვის შემადგენელი ნაწილების გამო, შეიძლება აღმოიფხვრას.
- კარგად დაასუფთავეთ სუბსტრატი დაცემენტების დაწყებამდე.
- აღრიცხეთ წებოსა და ცემენტის ხსნარის მოკიდების დროები. თუ დაცემენტებას ადრე დაიწყებთ, გაუფერულების რისკი იზრდება.
- შეფასებებიდან ჩანს, რომ ცემენტში ფორების ან ჰაერის ბუშტუკების გაჩენა არ არის დამოკიდებული ცემენტის ხსნარზე. ამის მიზეზი, როგორც წესი, შემდეგია:

1. ძალიან მაღალაბსორბციული ქვა ან კერამიკა
2. მაღალი w/c (წყალი/ცემენტი) კოეფიციენტი ცემენტის ხსნარში
3. ნარევის ჰაერის ბუშტუკები შეერია.


1+2 შემთხვევაში: ნუ დაასველებთ წინასწარ მაღალი სიმკვრივის ქვას. ღრუბლის მეშვეობით დაასველეთ დაბალი სიმკვრივის ქვა, შედეგობრივი მაღალი ფოროვანებით და კაპილარული მოქმედებით, გაჯერებამდე და შემდეგ დაცემენტეთ

მე-3 შემთხვევაში: თუ შესარევად ძალიან მაღალი სიჩქარე ან არასწორი ნიჩაბი გამოიყენება, ჰაერის მოხვედრის რისკი იზრდება. ამის პრევენციისთვის უმჯობესია ვიბრაციული/დარტყმითი მეთოდის გამოყენება შეღწეული ჰაერის ვიზუალურ დაცლამდე. უმჯობესია მომრგვალებული ან სპირალური ნიჩაბის გამოყენება.

- გამჭოლი ქარის ან ძლიერი მზის შემთხვევაში დაიცავით ნაკერები ზედმეტად სწრაფი გაშრობისგან პოლიეთილენის საფარის ან ხშირი დანამვის მეშვეობით.
- ცემენტის ხსნარის მოკიდებამდე ნაკერები დაიცავით წვიმისა და ყინვისგან.
- ფილების კიდეებს, წყვეტებსა და მილების შესავლებთან, გააკეთეთ ელასტიური და, ასევე, პერიმეტრის და შემაერთებელი ნაკერები ESCOSIL-2000-ST ან ESCOSIL-2000-ის გამოყენებით.
- ტენის არათანაბარმა შეღწევამ გრუნტიდან, ცემენტის ხსნარის ფენიდან, ტემპერატურის ცვალებადობის შედეგად ან გამოყენებული მასალიდან შეიძლება გამოიწვიოს ფერის შეცვლა ცემენტის საფარში, რაც არ აუარესებს დაცემენტების ხარისხს და რაც შეიძლება შეჩერდეს შესაფერისი პირობების შექმნით. ამიტომ, ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ ფერი საერთოდ არ შეიცვლება.
- დარჩენილმა შემავსებლებმა ქვიშა-ცემენტის ფენიდან (მაგ.: კირის შემცველი) ან ნივთიერებებმა სხვა სამშენებლო მასალებიდან, რომლებიც ხასიათდება ფერის შეცვლის პოტენციალით, შეიძლება გამოიწვიოს ღრმულების გაჩენა ცემენტის ზედაპირზე.
- მაღალი მექანიკური დატვირთვის შემთხვევაში, მაგ. საწმენდი აღჭურვილობიდან ან ქიმიური ზემოქმედებისგან, გირჩევთ მაღალი გამძლეობის ცემენტის ხსნარის გამოყენებას, როგორიცაა ASODUR-EK98 ან ASODUR-DESIGN, თუ ქვის სპეციფიური მახასიათებლები ამის შესაძლებლობას იძლევა.
- იმისათვის, რომ არ მოხდეს კიდეების და მოძრავი ნაკერების ამოვსება ცემენტის ხსნარით, დაცემენტებამდე ამ ნაკერებში ჩადეთ პოლისტირენის ზოლები ან ქაფის პროფილები.
- იმის გამო, რომ ღია ფერებზე ჭუჭყი უფრო ძლიერად ჩანს, მათი გამოყენება უმჯობესია ინტერიერში ან კედლებზე.
- ერთი და იგივე ოთახისთვის გამოიყენეთ მასალა ერთი და იგივე პარტიიდან.
- ცემენტის ოპტიმალური ჰიდრატაციის მისაღწევად აუცილებელია საკმარისი ტენიანობის შენარჩუნება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არააბსორბენტი ქვისა თუ ფილების შემთხვევაში, ვინაიდან ნადების გაჩენა მოსალოდნელი არ არის.
- ბუნებრივი და სინთეტიკური ქვის დაცემენტებისას გაითვალისწინეთ პროდუქტის სპეციფიური თვისებები (მიდრეკილება ფერის შეცვლისკენ). გირჩევთ პირველ რიგში სატესტო ზონის დაცემენტებას.
- დაიცავით ის ზონები, რომლებიც არ უნდა იქნას ცემენტის ხსნარით დაფარული, CRYSTALLFUGE-PLUS-ის ზემოქმედებისგან.
- შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

იხილეთ ევროკავშირში მომქმედი ქიმიური პროდუქციის უსაფრთხოების სპეციფიკაცია.

GISCODE: ZP 1



ინფორმაცია აქროლადი ნივთიერებების ემისიის მაჩვენებლების შესახებ დახურულ სივრცეში, რომლებიც ჯანმრთელობას რისკს უქმნიან შესუნთქვის გზით, A+ კლასიდან (ძალიან დაბალი ემისიები) C კლასამდე (მაღალი ემისიები).

წინამდებარე ტექნიკური სპეციფიკაცია ნათარგმნია გერმანული ენიდან და არ ითვალისწინებს ადგილობრივ სამშენებლო კოდექსებს თუ სამართლებრივ მოთხოვნებს. დოკუმენტი გამოყენებული უნდა იქნას პროდუქტის მხოლოდ ზოგადი რეფერენციის სახით. სამართლებრივად სავალდებულოა მხოლოდ უახლესი გერმანული ტექნიკური სპეციფიკაცია ან უახლესი ტექნიკური სპეციფიკაცია ჩვენი ერთ-ერთი უცხოური ფილიალიდან, რომელიც ჩვენს სავაჭრო ტერიტორიაზე მდებარეობს.